29/01/2025

MES 0 25 0000073855

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები**:

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო სტეფანიშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**თეა ლილუაშვილი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო ცხოვრებაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ქეთი მუთიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა:**
მერაბი ჭოხონელიძე - სკოლის დირექტორი;
მაკა ვაჩეიშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

**შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა:**
ბელა გოცირიძე - სკოლის დირექტორი;
მარინა სარიშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

**შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლა:**
ეკატერინა ბაბუნაშვილი - სკოლის დირექტორი;
ნათელა ჩანქსელიანი - განათლების ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი

**შპს მწვანე სკოლა- საბურთალო:**
სესილი გელოვანი - სკოლის აღმასრულებელი დირექტორი;
ბაკურ სულაკაური - სკოლის გენერალური დირექტორი;
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა:**
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ფორჩხიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა:**
ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლა:**
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ჯაში-შაინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**შპს მწვანე სკოლა- საბურთალო:**
ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 15 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

2. შპს მზეკაბან 2 რუსთავის საერო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ნოემბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1384859 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 ( მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არც ერთ მოწვეულ მასწავლებელს აღარ ჰქონდა კვირეული საგაკვეთილო დატვირთვა 9 საათზე მეტი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილი გარემოების საფუძველზე, რომ სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ, სკოლის დირექტორმა, მერაბ ჭოხონელიძემ, განმარტა, რომ სკოლის ტრანსპორტი ემსახურებოდა მხოლოდ სასკოლო აქტივობების განხორციელებას (მოსწავლეების გადაყვანა მუზეუმებში, ექსკურსიებზე და სხვა) და შესაბამისად, არ საჭიროებდა ხელშეკრულების გაფორმებას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, იყენებდა თუ არა სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გააქტიურებასთან დაკავშირებით, გაგზავნილი ჰქონდათ წერილი შესაბამის ორგანიზაციასთან და ელოდებოდნენ შესაბამისი სამუშაოების გატარებას. მან აქვე დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ ყველა რჩევასა და რეკომენდაციაზე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა და გარკვეული ხარვეზები უკვე აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, წარმოადგენდა თუ არა სკოლის სტრუქტურულ ერთეულს მოსწავლეთა თვითმმართველობა და ჰყავდათ თუ არა პედაგოგიური საბჭო.
ექსპერტის, ზვიად ბერიძის, განმარტებით, მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა, მოგვიანებით, ჩაატარეს თვითმმართველობის არჩევნები და განახლებულ დოკუმენტაციაში მოხსენიებული იყო, როგორც სკოლის სტრუქტურული ერთეული.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა განსაზღვრეს სკოლის სტრუქტურული ერთეულად. მისი თქმით, თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში და მათი ინიცირებით განხორციელდა არა ერთი პროექტი.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა პედაგოგიური საბჭო და ჰქონდათ მათი შეხვედრის ოქმებიც. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ დაამატეს ცეცხლმაქრები, შეაბრუნეს გარეთ გასასვლელი კარი და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში არ ფიქსირდებოდა რაიმე ხარვეზი. მისი თქმით, ყველა საჭირო დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას გადმოგზავნილი ჰქონდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შეისწავლეს თუ არა ექსპერტებმა სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია.
ექსპერტის, ზვიად ბერიძის, განმარტებით, ექსპერტებმა შეისწავლეს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც სკოლამ წარმოადგინა ვიზიტის დროს და გადმოაგზავნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ექსპერტებმა დასკვნა შეადგინეს იმ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რაც გამოიკვეთა ვიზიტისა და არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ. სკოლამ კი გარკვეული დოკუმენტაცია ცენტრში წარმოადგინა 2024 წლის 25 დეკემბერს, რომელიც ვერ მიეწოდებოდა ექსპერტებს, რადგან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უკვე შედგენილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

**დაწყების დრო**: 16:31
**დასრულების დრო** 16:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა  შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 15 იანვარი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის (ს/კ:  412725573) მონიტორინგთან დაკავშირებით.
 აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 15 იანვარი.

**დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობ ით მიმართა ცენტრსმონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის იანვარში 2.2, 3.1, 3.4, 3.6 და 4.2 კომპონენტებთან მიმართებით, დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. **შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ნოემბერს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1361235 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 ( მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, მოვლილი ეზო, გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, სააქტო დარბაზი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილი იყო მთელი რიგი ხარვეზები და დაინტერესდა, რამ განაპირობა, რომ სკოლა მოუმზადებლად შეხვდა ამ პროცესს.

სკოლის დირექტორის, ბელა გოცირიძის, განმარტებით, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები, გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის მტკიცებულებები კი, გადმოგზავნილი ჰქონდათ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. მისი თქმით, სკოლამ დაასაქმა ხარისხის მართვის მენეჯერი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ოთხივე სტანდარტში ჰქონდა უარყოფითი შეფასება და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, რა პერსპექტივა ჰქონდა დაწესებულებას სამომავლოდ.

სკოლის ხარისხის მენეჯერმა, აღნიშნა, რომ ჩაატარეს კათედრების შეხვედრები და დაიწყეს ხარვეზებზე მუშაობა, თუმცა, მისი თქმით, სკოლას ესაჭიროებოდა დრო, მასწავლებელთა პროფესიული კუთხით განვითარებისა და ზრდისთვის, ამას კი სკოლა განახორციელებდა თანადაფინანსებით. აქვე, დასძინა, რომ კურიკულუმების ერთიანი ფორმატის ჩამოსაყალიბებლად დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.

სკოლის დირექტორმა, ბელა გოცირიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული განვითარების გეგმა. მისი თქმით, პირველ სტანდარტთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია სკოლამ უკვე გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

**დაწყების დრო**: 17:13
**დასრულების დრო** 17:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა  შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 15 იანვარი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის(ს/კ:  416306143) მონიტორინგთან დაკავშირებით.
 აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2025 წლის 15 იანვარი.

**დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2027 წლის იანვრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები**: სრული მონიტორინგი.

3. **შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 06 და 07 ნოემბერს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1384860 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტის თქმით, ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად განიხილეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, სკოლის დოკუმენტაცია და როგორც გაირკვა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მოქმედი საკანონმდებლო აქტები შესაბამისობაში იყო დადგენილ რეგულაციებთან, პროცესების ნაწილი არ იყო მტკიცებულებებით გამყარებული (დოკუმენტურად დადასტურებული). აქვე აღნიშნა, რომ სკოლას ავტორიზაცია გავლილი ჰქონდა 2022 წელს და გაცემული რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული იყო, თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის დროსაც არ ჰქონდა შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და ასევე, პედაგოგების ნაწილს არ ჰქონდა სტატუსი, მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა კი, გარკვეულ შემთხვევაში აღემატებოდა კვირაში 9 საათს.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 ( მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო ადაპტირებული და კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, ესაუბრა, სკოლაში გამოვლენილი გარემოებებისა და გაცემული რჩევების შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, მეგი ტალახაძის, განმარტებით, პირველად გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში იკვეთებოდა გარკვეული სახის უზუსტობები, მასწავლებლებთან გასაუბრების შემდგომ კი ვერ მიიღეს დაზუსტებული პასუხები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, რა მიზნით იყო შერჩეული კონკრეტული დავალებები და რატომ ვერ ხერხდებოდა ყველა გრძელვადიანი მიზნის დამუშავება სავალდებულო თემის ფარგლებში. შესაბამისად, სკოლას მიეცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომელთა ნაწილიც სკოლამ გაითვალისწინა. მისი თქმით, სამიზნე ცნებების მიმართებით გაცემული რეკომენდაციები სკოლისთვის რჩებოდა გამოწვევად.

სახელმწიფო ენის ექსპერტმა, ნანა შალამბერიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ სრული მზაობა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის, ასევე, შექმნილი ჰქონდათ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტები.

სკოლის წარმომადგენლის, ნათელა ჩანქსელიანის, განმარტებით, ხარვეზი, რომელიც ეხებოდა თანამშრომელთა ცნობებს, უკვე გამოსწორებული იყო, ასევე, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, სხვა მიმართულებით კი, აქტიურად აგრძელებდნენ მუშაობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

**დაწყების დრო**: 17:43
**დასრულების დრო** 17:51

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 15 იანვარი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის (ს/კ: 212815863) მონიტორინგთან დაკავშირებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 15 იანვარი.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის იანვარში 3.1 და 3.4 კომპონენტთან მიმართებით, თანამშრომლების ცნობების, შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლის დასაქმების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებისა და კვალიფიციური ექიმის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

**4. შპს მწვანე სკოლა- საბურთალოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;**
**5. შპს მწვანე სკოლა- საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 21 და 22 ნოემბერს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სურდა ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჟღენტის ქ. N37-ში (იმავე მისამართზე დამატებული ფართი), ხოლო თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1550.
ექსპერტის, ხათუნა ლოდიას, განმარტებით, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, რადგან 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასდა „მეტწილად“.
მისი თქმით, სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, არ ჰქონდა დამტკიცებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები და შენობის შესასვლელში პანდუსი.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურულად სკოლა იყო გამართული, ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, აუზი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის ყველა საჭირო რესურსი, გარდა ზემოაღნიშნული მოცემულობებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას მოსწავლეთა თვითმმართველობა და პედაგოგიური საბჭო.

ექსპერტის, ხათუნა ლოდიას, განმარტებით, სკოლას ჰყავდა აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა და პედაგოგიური საბჭო. აქვე, საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, აღნიშნული აესახათ სკოლის სტრუქტურაში.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლის შენობა ექსპლუატაციაში მიღებული.
სკოლის წარმომადგენლის, ბაკურ სულაკაურის, განმარტებით, სკოლის შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზე აპირებდნენ შესაბამის ორგანოში განაცხადის შეტანას, თუმცა, მიღებული ჰქონდათ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სკოლის შენობა იყო მყარი და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.
აქვე, სკოლის წარმომადგენელმა, ბაკურ სულაკაურმა, დასძინა, რომ სკოლის შენობას გარკვეული დეტალები იყო დასასრულებელი, მათ შორის შენობის შესასვლელში პანდუსის მოწყობა და ვინაიდან, სამშენებლო საქმიანობა მოითხოვდა კარგ ამინდს, ამ დრომდე ვერ მოხერხდა აღნიშნული. მისი თქმით, სკოლის შენობა იყო სრულიად კეთილმოწყობილი, ერთადერთ ხარვეზს წარმოადგენდა პანდუსი, რომელსაც ზაფხულამდე ვერ მოაწყობდნენ, ვინაიდან სკოლაში მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესი და ბავშვების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ იყო მიზანშეწონილი აღნიშნული სამუშაოების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

**1. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი.**
**2. შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1550-ით განსაზღვრის საკითხი.**

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო**: 18:15
**დასრულების დრო** 18:45

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** -8
**წინააღმდეგი** - 2

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ, მოწინააღმდეგეთა არგუმენტით, სკოლას არ წარმოუდგენია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირეს სკოლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითს.

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 პუნქტისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მწვანე სკოლა- საბურთალოს(ს/კ: 405632356) მისამართის/ფართის ცვლილება, დაემატოს ფართი და დანართში ასახულ მისამართზე მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N 37 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N 37 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N 37 |

**2. გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს მწვანე სკოლა- საბურთალოს(ს/კ: 405632356) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1550-ით.

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:50 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა